

სისხლის სამართლებრივი დევნის ძირითადი თავისებურებანი ქართული
სისხლის სამართლის პროცესში და საერთაშორისო ასპექტები

ნენე გუგავა

*სამეცნიერო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესიკ ქვარცხავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს
ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ,
გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ
არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ნენე გუგავა

2022 წელი

აბსტრაქტი

სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს სახელმწიფოს უფლებას, რომ გამოავლინოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირი და დააკისროს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საკითხი არის სახელმწიფოს აღნიშნული უფლების თავისებურებათა წარმოჩენა და მისი მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპის კვლევა.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სისხლისსამართლებრივი დევნის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის, შესწავლასა და გამოკვლევას იმისათვის, რომ განისაზღვროს სისხლისსამართლებრივი დევნის არსი. ამასთან ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ პრაქტიკაში დაგროვებული პრობლემატური საკითხების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

წარდგენილი ნაშრომი, სისხლისსამართლებრივი დევნის ჭრილში, ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და სამეცნიერო ლიტერატურის ერთგვარ ანალიზს. აღნიშნული, კი მოიცავს ნორმატიული კანონმდებლობისა და სამეცნიერო ლიტერატურის შინაარსის შესწავლას, ასევე შედარებას საერთშორისო პრაქტიკასთან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს კანონმდებლობა დღემდე არ ადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის განმარტებას და აღნიშნული საპროცესო ინსტიტუტის განმარტება მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურაშია წარმოდგენილი. ამასთან სამეცნიერო ლიტერატურაშიც არაერთგვაროვანი მიდგომებია სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებასთან, მის განმახორციელებელ სუბიექტებთან, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და დამთავრებასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, კი უნდა ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ცალკეული შემადგენელი ელემენტები საჭიროებენ სრულყოფას, საერთშორისო პრაქტიკის გაზიარებას, როგორც საკანონმდებლო ისე პრაქტიკულ ნაწილში.

საკვანძო სიტყვები: სისხლისსამართლებრივი დევნა, დაკავება, ბრალდება, უფლებები.

Abstract

Criminal prosecution is a state right, to identify the criminal act based on the criminal law and impose criminal liability on the person who committed a crime. The research issue of the present topic is presentation of the peculiarities of the mentioned right of the state and the study of its various stages.

The present research aims to study and examine criminal prosecution as a procedural institution in order to determine the essence of criminal prosecution. In addition, the aim of the paper is to analyze the problematic issues accumulated in the practice of criminal prosecution and to develop relevant recommendation.

The submitted paperwork, in profile of criminal prosecution, carries out an analysis of Georgian legislation and scientific literature. Therefore the text includes the study of content of normative legislation and scientific literature, as well as comparison with international practice.

As a result of the research, it was established that the legislation of Georgia does not establish the definition of criminal prosecution, and the definition of procedural institution is presented in the scientific literature only. In addition, scientific literature approaches differ regarding the definition of criminal prosecution, the entities implementing it, the initiation and termination of criminal prosecution.

At the end, it should be said that individual elements of criminal prosecution need to be perfected, to share international practice, both in the legislative and practical sides.

Keywords: criminal prosecution, arrest, accusation, rights.